დაჯერების ხარისხების კონცეპტუალური ანალიზი

თორნიკე კახელი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ფილოსოფიაში აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ფილოსოფია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამაზ თოხაძე, დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თორნიკე კახელი, 18/01/2024.

აბსტრაქტი

ჩვენი მეტყველება და აზროვნება ხშირად მიგვანიშნებს, რომ დებულების ჭეშმარიტების მიმართ ჩვენი დარწმუნებულობა ხარისხობრივი უნდა იყოს. მაგალითად, ვამბობთ ხოლმე, რომ დებულება 50% - ით გვჯერა, ან რომ მის ჭეშმარიტებაში თითქმის დარწმუნებული ვართ (ის დაახლოებით 100% - ით გვეჯერა). ისე ჩანს, თითქოს ჩვენს რწმენებს ნუმერულად რეპრეზენტირებადი ხასიათი უნდა ჰქონდეს. თუმცა არის კი ეს რეალურად შესაძლებელი? მაინც რას ნიშნავს, რომ დებულება რიცხვით რეპრეზენტირებული გარკვეული ხარისხით გვჯეროდეს? რას დავუკავშიროთ და როგორ გავიგოთ ამ შემთხვევაში რიცხვების წარმოშობა ჩვენს დოქსასტურ ფსიქოლოგიაში? რა მიმართება უნდა არსებობდეს ხარისხობრივ დაჯერებასა და სრულ რწმენას შორის, რომელიც გამოითქმის მხოლოდ *მჯერა, მწამს, მგონია* და მსგავსი ტერმინების გამოყენებით?

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის მიზანი დაჯერების ხარისხების შესახებ კონცეპტუალური ანალიზის მომზადებაა, რომელიც ინფორმაციულად და დამაკმაყოფილებლად გასცემს პასუხს ზემოთ დასმულ კითხვებს. ვაჩვენებ, რომ აგენტის დაჯერების ხარისხი რეპრეზენტირდება წილადით, რომლის მნიშვნელშიც არის რიცხვი, რომელიც აღნიშნავს სამყაროს მოწყობის აგენტის მიერ მოაზრებული ყველა განსხვავებული შესაძლო მოდელის რაოდენობას, ხოლო მრიცხველში არის რიცხვი, რომელიც აქედან აღნიშნავს სამყაროს მოწყობის იმ შესაძლო მოდელების რაოდენობას, რომლებშიც განსახილველი დებულება ჭეშმარიტია. ნაშრომში აგრეთვე დაცული იქნება რწმენის რედუქციონიზმის თეზისი, რომლის მიხედვითაც ხარისხობრივი დაჯერება ონტოლოგიურად ფუნდამენტური დოქსასტური მდგომარეობაა და მასზე რედუცირდება სრული რწმენა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: დოქსასტური დამოკიდებულებები, დაჯერების ხარისხები, სრული რწმენები, ალბათობა, ბეიზიანიზმი.

Abstract

Our everyday speech and thinking often suggest that our confidence in the truth of certain propositions comes in degrees. For example, we might say that we have roughly 50% confidence (credence) in a proposition, or that we are almost certain (near 100%) that it is true. It seems that our beliefs must have a quantitative nature. But is this really the case? What does it mean to have a numerical representation for the degree of belief (degree of confidence/degree of credence)? How can we comprehend the origin of these numerical values in our doxastic psychology? What kind of relationship may exist between degrees of credence and full beliefs (commonly expressed simply as *I believe that* … or in a similar fashion)?

The aim of my master's thesis is to provide a conceptual analysis of degrees of confidence (credence) that addresses these questions. I will demonstrate that credence is representable as a fraction, where the denominator gives the number of possible models for an agent describing how the world might unfold, and the numerator indicates the quantity of these possible world models where a given proposition is true. Furthermore, I will adopt a belief-reductionist position in this work, asserting that graded confidence or credence is an ontologically fundamental doxastic state, and full belief is to be understood as a reduction to this foundational state.

Keywords: Doxastic states, credence, full belief, probability, Bayesianism.

მადლობა

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო თამაზ თოხაძეს, ფილოსოფიის დოქტორსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორს, რომელმაც უხელმძღვანელა ჩემს სამაგისტრო ნაშრომს. ნაშრომზე მუშაობის განმავლობაში მისგან მუდმივად ვიღებდი ძვირფას რჩევებს, რომლებიც დამეხმარა აზრების დაწყობასა და იდეების განვითარებაში. აგრეთვე, მისი ლექციების დამსახურებაა, რომ დავინტერესდი და შევიძინე ცოდნა თანამედროვე ეპისტემოლოგიისთვის საკვანძო საკითხების შესახებ, რომელთაგან ერთ-ერთს წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება.